ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2038630

ნომერი: AR1330042

თარიღი : 27.07.2015

გაცემის თარიღი : 30.07.2015

გაცნობის თარიღი : 31.07.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი აკაკი წერეთელი , N 74 , კორპუსი N6 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მარიამ შენგელია პ/ნ 01008003503
- თბილისი ს.ჭრელაშვილის ქ. N 3

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  რეკონსტრუქცია
- შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი
  რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების

თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ

იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, პირველ რიგში საჭიროა წარმოადგინოთ განახალებული ფოტოსურათები (უფრო შორი მანძილიდან გადაღებული, საპროექტო არეალის სრულად ფიქსაციით) და მათზე დამუშავებული ფოტომონტაჟები. (გაბარიტული ზომებისა და მასალების მითითებით). აქვე გაითვალისწინეთ, რომ ამ ეტაპზე არ გაქვთ ატვირთული შენობის უკანა ფასადის არსებული მდგომარეობის ამსახველი ფოტოსურათები
ამასთან ერთად, მოთხოვნის ტექსტში დააფიქსირეთ, რომ საპროექტო არეალს წარმოადგენს მხოლოდ თქვენს საკუთრებაში არსებული შენობის ფართის ფასადი.
აგრეთვე, წარმოსადგენია საკადასტრო გეგმა, მასზე საპროექტო არეალის დატანით. აქვე გაითვალისწინეთ, რომ იმ შემთხვევაში თუ საპროექტო კონდიციონერი ეწყობა საკადასტრო საზღვებს შიგნით და ეხება უშუალოდ მიწის პირს წარმოსადგენი იქნება ამხანაგობის კრების ოქმი (მობინადრეთა თანხმობა) რაც უნდა აიტვირთოს საჭიროების შემთხვევაში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის 2/3 თანხმობის" ველში (ამხანაგობის თავმჯდომარის მიერ მოწვეული კრების შედეგად შედგენილი) ჩასატარებელ სამუშაოებთან დაკავშირებით კრების დამსწრე წევრების რაოდენობის მითითებით. `ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ" საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა 2/3 (67%) და ჩასატარებელი სამშენებლო სამუშაოებს მხარი დაუჭირა დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტმა. შესაბამისად წარმოსადგენია ოქმი, რომლის თანახმად კრების დამსწრე წევრები შეადგენენ ამხანაგობის წევრთა 2/3 და ჩასატარებელ სამუშაოებს მხარს უჭერს დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტი, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ საპროექტო კონდიციონერის განთავსების არეალი სცდება კორპუსის საკადასტრო საზღვებს, წარმოსადგენი იქნება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების მართვის სააგენტოს თანხმობა აღნიშნულთან დაკავშირებით.
ასევე წარმოსადგენია შესაბამისი დასკვნა კონდენციონერების ექსპლუატაციისას შესაბამისი ნორმების დაცულობასთან დაკავშირებით. აღნიშნული დოკუმენტაცია აიტვირთოს „დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტის pdf ფაილის“ ველში.

გაითვალისწინეთ, რომ თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზის გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას, განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.